ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3449088

ნომერი: AR1529006

თარიღი : 01.08.2017

გაცემის თარიღი : 03.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გივი კარტოზიას ქუჩა N10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ჩირაძე პ/ნ 01017022486
- თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6

ორგანიზაცია:
- ჰაუსარტ პროჯექტი კოდი: 205258978

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3376370 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 1 აგვისტოს №AR1517461 განცხადება, ამავე სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3376370 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3376370 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, გივი კარტოზიას ქუჩა #10, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.16.004.194), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 05 ივლისიდან 2019 წლის 05 აპრილის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორება, კერძოდ, შეთანხმებული პროექტის ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით. ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად 628.28 კვ.მ-ის ნაცვლად 625.38 კვ.მ-ის, სასწავლო აუდიტორიის ფართად 545.28 კვ.მ -ის, ასევე ამ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისად შეცვლილი საერთო ფართობის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 5 ივლისის №3376370 ბრძანებაში მითითებულია საერთო ფართობი 93305.1 კვ.მ., საცხოვრებელი ფართობი 54750.09 კვ.მ, კომერციული ფართობი 2027.35 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 7287.56, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 10092.47, დამხმარე ფართობი 628.28 და ავტოსადგომის ფართობი 18519.35 კვ.მ. 2017 წლის 1 აგვისტოს №AR1517461 განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება და გეგმების ჩანაცვლება იწვევს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას და მისი გასწორება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას).

შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან და გეგმების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.